შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი

მდგრადობის ანგარიშგების საზღვრები

დოკუმენტი დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2024

სარჩევი

შესავალი 3

ანგარიშგების ჩარჩო 4

ფინანსური თანხვედრა 5

პასუხისმგებლობები და მმართველობა 5

რისკების მართვის პროცესი 6

ლობირება და სავაჭრო ასოციაციები 7

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური განსაჯაროვება (TFCD) 7

გეოგრაფიული არეალი 9

პოლიტიკები და პროცედურები 9

ინდიკატორები და პარამეტრები 10

დროის ჭრილში დადგენილი საზღვრები 10

მდგრადობის ანგარიშგების ზღვრების წლიური გადახედვის პროცესი 10

დანართები 11

შპს „ავსტრიან ჯორჯიანიან დეველოპმენტი“
მდგრადობის ანგარიშგების საზღვრები

შესავალი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ (AGD) დაარსდა 2013 წლის ივნისში, რომელიც ფლობს და ახორციელებს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს საქართველოში. კომპანიამ, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ლახამზე, განავითარა ლახამი ჰესების კასკადი, რომელიც მოიცავს ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურებს. ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე სადგურების საერთო დადგმული სიმძლავრე შეადგენს ჯამში 16 მეგავატს და წლიურად საშუალოდ 80 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ლახამი ჰესები დაკავშირებულია ეროვნულ ქსელთან 35/6 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

„ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ის თანამფლობელები არიან: შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“ კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი (CCEH), რომელიც არის საერთაშორისო საინვესტიციო ჰოლდინგური კომპანია, დაარსებული 2015 წელს, დასავლური ინვესტორების მონაწილეობით, და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში.

შპს „ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი,“ რომელიც დაარსდა 2013 წელს და სპეციალიზდება საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების განვითარებაზე. შპს „ენერჯი სოლუშენსი,“ რომელიც დაარსდა 2014 წელს, ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და განვითარებაზე, ასევე ჰიდროენერგეტიკის სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას თავისი საქმიანობის ყველა მიმართულებით. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ მდგრადობა არის არა მხოლოდ ჩვენი გრძელვადიანი წარმატების ქვაკუთხედი, არამედ პასუხისმგებლობა იმ დაინტერესებული მხარეებისა და თემების წინაშე, სადაც ჩვენს საქმიანობას ვანხორციელებთ.

ჩვენი მდგრადობის ანგარიში და სხვა დოკუმენტები მიზნად ისახავს კომპანიის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე მკაფიო, ზუსტი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისთვის. ჩვენთვის პრიორიტეტულია, რომ ჩვენი ანგარიშგება შეესაბამებოდეს გლობალურად აღიარებულ სტანდარტებსა და ჩარჩოებს, რაც უზრუნველყოფს ჩვენ მიერ განსაჯაროვებული ინფორმაციის მაქსიმალურ სანდოობას.

ლახამის ჰესი, დადგმული სიმძლავრით 16 მგვტ, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივს საქართველოში, კერძოდ მესტიის მუნიციპალიტეტში. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ სრულად იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას მდგრადი ოპერირებისა და გამჭვირვალე ანგარიშგების პრინციპები. მოცემული დოკუმენტი ასახავს მდგრადობის ანგარიშგების საზღვრებს, დეტალურად აღწერს ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალ პარამეტრებს და მათ შესაბამისობას მდგრადობის განსაჯაროვებასთან.

ამ ვალდებულების აღებით, ჩვენ მიზნად ვისახავთ:

- დავადგინოთ და განვასაჯაროვოთ ჩვენი მდგრადობის ანგარიშგების საზღვრები, რათა ისინი სრულად ასახავდეს ჩვენი ორგანიზაციული საქმიანობის დიაპაზონს და იყოს შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებასთან.

- მუდმივად გავაუმჯობესოთ ჩვენი მდგრადობის განსაჯაროვების ხარისხი და შინაარსი, რათა დაინტერესებულ მხარეებს მივაწოდოთ მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინფორმაცია ჩვენი საქმიანობისა და პროგრესის შესახებ.
- ჩვენი მდგრადობის მონაცემები დაექვემდებაროს მკაცრ შიდა და დამოუკიდებელი მესამე მხარის აუდიტს, რათა გაძლიერდეს ნდობა ჩვენს მიერ განსაჯაროვებული ინფორმაციის სიზუსტისა და სანდოობის მიმართ.
- აქტიურად ვითანამშრომლოთ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ანგარიშგება შეესაბამება მათ მოლოდინებს და ხელს უწყობს ღრმა, შინაარსიან და პროდუქტიულ დიალოგს ჩვენი მდგრადობის შედეგებთან მიმართებაში.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ში მდგრადობის ანგარიშგების გამჭვირვალობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისობის უზრუნველყოფით – ეს არის ჩვენი ძირითადი ფასეულობების გამოხატულება და დაინტერესებულ მხარეებთან ნდობის განმტკიცების მნიშვნელოვანი საფუძველი.

ანგარიშგების ჩარჩო

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩო მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს, რათა უზრუნველყოს ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საქმიანობის ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე განსაჯაროვებას.

1. **ოპერირების საკითხების დაფარვა:**
   - შპს “ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი ”-ს უშუალო კონტროლის დაქვემდებარებული ყველა საქმიანობა და ოპერირების არეალი.
2. **ორგანიზაციული სტრუქტურა და მომხსენებელი პირები**
   - შპს “ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი”-ს თანამფლობელებს წარმოადგენენ შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III, შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი და შპს ენერჯი სოლუშენს.
   - კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი CCEH არის საერთაშორისო საინვესტიციო ჰოლდინგური კომპანია, რომელიც დაარსდა 2015 წლის აგვისტოში და ამ დროიდან წარმატებით ოპერირებს საქართველოს ბაზარზე. კომპანიის საქმიანობის მიზანია, საქართველოში განახორციელოს ინვესტიციები მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში, კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის გზით. კომპანიისთვის ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია, პროექტების არა მხოლოდ კაპიტალით უზრუნველყოფა, არამედ მათი გამდიდრება ჰიდროელექტროსადგურების შენებასთან დაკავშირებული გამოცდილებით.
     CCEH-ი, პროექტის გამავითარებლებთან ერთად, ქმნის საერთო ხედვას და სტრატეგიას, რათა ფინანსურ მოგებასთან ერთად, მიაღწიოს არამატერიალურ წარმატებას, რაც CCEH-ის საინვესტიციო ფილოსოფიის საფუძველია. ეს ფილოსოფია დიდწილად გულისხმობს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვაში მიღწეულ დადებით შედეგებს.
   - შპს ენერჯი სოლუშენს დაარსდა 2014 წელს, რომლის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და განვითარება. კომპანიის ძირითადი მიმართულებები ჰიდროენერგეტიკის ბიზნესში არის საკონსულტაციო მომსახურება და პროექტების შემუშავება. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს სრულ ტექნიკურ, ფინანსურ და იურიდიულ დახმარებას, მათ შორის ახალი პროექტის შესაძლებლობების განსაზღვრასა და არსებული ჰიდროელექტროსადგურების ოპტიმიზაციას. პროექტის შემუშავება მოიცავს პროექტების იდენტიფიცირებას საწყის ეტაპზე, საჭირო კვლევების ჩატარებას, დაფინანსების მოპოვებას და პროექტის

ყოველდღიური მენეჯმენტის წარმართვას წარმატებული შედეგის მისაღწევად. კომპანიამ შექმნა მყარი და სანდო მენეჯმენტის მქონე საკონსულტაციო ჯგუფი საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ სფეროში.

- შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი დაარსდა 2013 წელს. კომპანიის ძირითადი მიმართულებაა მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების განვითარება საქართველოში.
- შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ მართავს ლახამი ჰესს.

ფინანსური თანხვედრა

- მდგრადობის ანგარიშგების ზღვრები თავისთავად მოიცავს შესაბამისობას კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.
- მოცემული ანგარიშგება ფარავს კომპანიის მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 75%-100%. ყოველივე ეს კი ასახულია როგორც წლიურ, ასევე ფინანსური აუდიტის ანგარიშებში.
- მთლიანი შემოსავალის გასაჯაროება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კომპანიის მატერიალობის ზღვრების დადგენაში, რაც თავისთავად გულისხმობს კომპანიების მზაობას, საჯაროდ გამოაქვეყნონ ინფორმაცია კომპანიის ოპერირების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მდგრადობის ზემოქმედების ყოვლისმომცველ გამჟღავნებას.

პასუხისმგებლობები და მმართველობა

- <u>სამეთვალყურეო საბჭოს</u> როლი: სამეთვალყურეო საბჭოს როლი არის ზედამხედველობა გაუწიოს პროექტის განვითარებას და უზრუნველყოს რომ:
  - მენეჯმენტი მოქმედებს ნდობაზე დაფუძნებული ვალდებულების პრინციპების შესაბამისად.
  - ყველა ძალისხმევა მიმართულია პროექტის განვითარების უზრუნველსაყოფად პატიოსნების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.
  - სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტრატეგია და მიღებულ გადაწყვეტილებები აღსრულებულია მენეჯმენტის მიერ.
  - ყველა მიმდინარე აქტივობა შესაბამისობაშია პროექტის განვითარების მაქსიმალურად ეფექტიანი განხორციელებისკენ.

- <u>კომპანიის მენეჯმენტი:</u> მენეჯმენტი ასრულებს საკვანძო როლს პროექტის განვითარებაში და ფლობს სრულ დისკრეციას პროექტის მართვისა და კომპანიის ყოველდღიური ოპერირების ხელმძღვანელობისთვის. მისი მიზანია პროექტის მაქსიმალურად ეფექტიანი განვითარება, რაც პარალელურად უზრუნველყოფს აქციონერების ინტერესების მაქსიმალურ დაცვას.
  - მენეჯმენტი ვალდებულია პერიოდულად ან საჭიროებისამებრ განახორციელოს რისკების მართვის აუდიტი, რომელიც დაკავშირებულია პროექტის განვითარების ფაზასთან და შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ანგარიშგება მართვის კომიტეტს.
  - მენეჯმენტი ვალდებულია იმოქმედოს ნდობაზე დაფუძნებული ვალდებულების შესაბამისად, კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მისი მიზანია უზრუნველყოს ჰოლდინგისა და აქციონერების მიმართ მაქსიმალური ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტების დაცვა.

- მენეჯმენტს აქვს სრული უფლებამოსილება განახორციელოს სტრატეგიული განხილვები პროექტის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ხელისუფლებასთან მუდმივი და დროული კომუნიკაციის ფარგლებში, რომელიც აუცილებელია, შედის (მაგრამ არ შემოიფარგლება):
- მენეჯმენტი პასუხისმგებელია მარეგულირებელი მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის დანერგვასა და განხორციელებაზე, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მაჩვენებლების მონიტორინგზე და დაინტერესებულ მხარეებთან გამჭვირვალე კომუნიკაციაზე. ასევე, მენეჯმენტი კურირებს რეგულარული ანგარიშგების პროცესს, უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას და ოპერირების პერიოდში რეაგირებს სახელმწიფო ინსპექციების მოთხოვნებზე.
- კომპანიის მენეჯმენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ჰოლდინგს მთავრობასთან ურთიერთობის პროცესში წარმოშობილი ყველა არსებითი საკითხის შესახებ, მენეჯმენტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრების მეშვეობით. ღნიშნული მიზნად ისახავს ჰოლდინგის მხარდაჭერის მოპოვებას პროექტის ეფექტიანი განვითარების უზრუნველსაყოფად, ბიუროკრატიული დაბრკოლებების ოპტიმალური მართვისა და პროცესის მაქსიმალური დაჩქარებისთვის.

რისკების მართვის პროცესი

რისკების იდენტიფიკაცია და გადახედვა: მენეჯმენტი პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს რისკების შეფასებასა და გადახედვას, რათა განსაზღვროს მნიშვნელოვანი რისკები შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- **ოპერაციული რისკები:** ინფრასტრუქტურული სირთულეები, ბუნებრივი კატასტროფები, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტები.
- **გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები:** გარემოზე ზემოქმედება (პირდაპირი ემისიები – Scope 1, არაპირდაპირი ემისიები – Scope 2, და სხვა არაპირდაპირი ემისიები – Scope 3), რესურსების ეფექტიანობა (წყლის მოხმარება, ენერგიის გამოყენება) და დაინტერესებული მხარეებისშენიშვნები.
- **ფინანსური რისკები:** ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების მართვის რისკები, პროექტის ხარჯების გადაჭარბების რისკი და სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკები.
- **რეპუტაციული რისკები:** რეგულაციების შესაბამისობის დარღვევა, ეთიკის პრინციპების დარღვევა და დაინტერესებული მხარეებთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და ჩართულობის წარუმატებლობა.

მატერიალურობის შეფასება: მატერიალური რისკები პრიორიტეტდება პერიოდული შეფასებების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს როგორც შიდა ბიზნესის გავლენებს, ასევე გარე სოციალურ და გარემოსდაცვით ფაქტორებს. საჭიროების შემთხვევაში, ამ შეფასებების შედეგები გადამოწმდება დამოუკიდებელი მესამე მხარის აუდიტორების მიერ, რაც უზრუნველყოფს სიზუსტესა და სანდოობას.

რისკების მართვა და შემსუბუქება: იდენტიფიცირებული რისკები მენეჯმენტის ფოკუსს წარმოადგენს და მათზე რეაგირება ხდება ეფექტიანი შემსუბუქების სტრატეგიების მეშვეობით. ეს სტრატეგიები მოიცავს სცენარების ანალიზს, მგრძნობელობის ტესტირებას და წინასწარ განსაზღვრული საგანგებო მოქმედების გეგმების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს რისკების დროულ და შედეგიან მართვას.

აუდიტი და მონიტორინგი: რისკების მართვის პროცესები რეგულარულად გადის დამოუკიდებელი მესამე მხარის ვერიფიკაციას, რათა უზრუნველყოს მოცემული პროცესის და მისი შინაარსის შესაბამისობა საუკეთესო პრაქტიკებთან და ხელი შეუწყოს უწყვეტი გაუმჯობესების პროცესს.

ლობირება და სავაჭრო ასოციაციები

შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" წარმოადგენს საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის (GREDA) წევრს. აღნიშნული ასოციაცია წამყვანი სექტორული გაერთიანებაა, რომელიც საქართველოს მთავრობასთან პარტნიორობით მუშაობს ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმართულებით, მათ შორის — ლობირების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" უშუალო პოლიტიკურ ლობირებაში არ მონაწილეობს, GREDA-ს წევრობა კომპანიას აძლევს სტრუქტურირებულ და ეფექტიან პლატფორმას პოლიტიკის ფორმირების პროცესში ჩართულობისათვის და ისეთ მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის ხელშესაწყობად, რომელიც ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის მდგრად განვითარებას. აღნიშნული პარტნიორობა აღიარებულია როგორც არაპირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი"-ს მდგრადობის ანგარიშგების ფარგლებში და წარმოადგენს კომპანიის გამჭვირვალე, პასუხისმგებელი და სტრატეგიულად გააზრებული თანამშრომლობის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც სცდება მისი უშუალო ოპერაციული საქმიანობის ფარგლებს და სრულად შეესაბამება გრძელვადიანი ღირებულების შექმნის მიზნებს.

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური განსაჯაროვება (TFCD)

<u>მმართველობა</u>

- დირექტორთა საბჭო აქტიურად უწევს ზედამხედველობას კლიმატთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს და საბჭოს სხდომებზე რეგულარულად იღებს განახლებებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმადრთველობითი გუნდის მენეჯერისგან. ამგვარი მუდმივი ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ ლახამი ჰესის კლიმატური ინიციატივები სრულად შეესაბამება ეროვნულ ენერგეტიკულ მიზნებს, მდგრადობის სტანდარტებსა და კომპანიის გრძელვადიან ხედვას.
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გუნდი მჭიდროდ თანამშრომლობს კომპანიის გენერალურ დირექტორთან, ოპერირების, ფინანსების და შრომის უსაფრთხოების გუნდებთან, რათა ეფექტიანად მართოს კლიმატური რისკები. გუნდი პასუხისმგებელია ისეთი მიმართულებების ზედამხედველობაზე, როგორიცაა წყლის მართვა, ენერგოეფექტურობა, ემისიების შემცირება და ნარჩენების მართვა. გუნდი ასევე ადგენს მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისობას საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტების მოთხოვნებთან და ხელს უწყობენ კომპანიის მდგრადობისა და გამძლეობის გრძელვადიან მიზნებს.

<u>სტრატეგია</u>

- კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები:
  - **მოკლევადიანი (1-3 წელი):** გამკაცრებული ემისიების კონტროლის მიმართულებით ახალი რეგულაციების შესრულება და ოპერაციების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პროცესების ოპტიმიზაციის საშუალებით.
  - **საშუალოვადიანი (3-10 წელი):** ნალექის განაწილებაში ცვლილებებზე ადაპტაცია, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს წყლის ნაკადსა და ელექტროენერგიის გენერაციის სიმძლავრეზე.
  - **გრძელვადიანი (10+ წელი):** ჰიდროლოგიური ცვლილებებისა და პოტენციური ექსტრემალური ამინდის მოვლენებისთვის მზადყოფნა მდგრადი ინფრასტრუქტურის

შექმნითა და მოწინავე ტექნოლოგიებში ინვესტირებით, რაც უზრუნველყოფს ოპერაციების სტაბილურობასა და მდგრადობას.

- კლიმატური რისკები, როგორიცაა წყლის ხელმისაწვდომობის ცვალებადობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლახამი ჰესის ოპერირების ეფექტიანობასა და ფინანსურ დაგეგმარებაზე. ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და განახლებადი ენერგიის სიმძლავრეებში ინვესტიციები ამცირებს ხარჯებსა და ემისიებს, რაც უზრუნველყოფს როგორც ფინანსური მიზნების მიღწევას, ასევე მდგრადობის პრიორიტეტების დაცვას.
- ლახამი ჰესი საკუთარ სტრატეგიაში აერთიანებს მდგრადობის უზრუნველყოფის გეგმას, რომლის ფარგლებშიც ტარდება ოპერირების სტრეს-ტესტირება კლიმატური სცენარების მიმართ, მათ შორის ისეთი სცენარების გათვალისწინებით, რომლებიც 2°C ან ნაკლები ტემპერატურის ცვლილებას მოიცავს.

<u>რისკების მართვა</u>

- კლიმატური რისკების შეფასება მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ჰიდროლოგიურ ანალიზს და სცენარების მოდელირებას. აღნიშნული მიდგომა ასევე მოიცავს მიწოდების ჯაჭვში არსებულ რისკებს, რაც ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის გაძლიერებას და კლიმატური რისკების ყოვლისმომცველი მართვის უზრუნველყოფას.
- კლიმატური რისკების მართვის პროცესები:

  - თანამედროვე წყლის მონიტორინგის სისტემები გამოიყენება, რაც უზრუნველყოფს ოპერირების ეფექტიანობას და წყლის მდგრად გამოყენებას.
  - ნაგებობები და ფერდობები გამაგრებულია ისე, რომ გაუძლოს ექსტრემალურ ამინდის პირობებს. ოპერირების უწყვეტობა კლიმატური პირობების მიუხედავად, უზრუნველყოფილია.
  - კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვა ხორციელდება კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასების, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე, რათა უზრუნველყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. თანამედროვე წყლის მონიტორინგის სისტემები, მათ შორის დონმზომი სადგურების გამოიყენება წარმოების ოპტიმიზაციისთვის წყლის ცვალებადი პირობებისას, ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველსაყოფად. ტურბინები არ ახდენენ ზემოქმედებას წყლის ხარისხზე და ტურბინებში გამოყენებული წყალი კვლავ მდინარეში ბრუნდება ხარისხის ცვლილების გარეშე.
  - გარდა კლიმატთან დაკავშირებული ფიზიკური რისკებისა, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარდამავალ რისკებს, მათ შორის მარეგულირებელი ჩარჩოების ცვლილებებს, კლიმატურ პოლიტიკაში განახლებებსა და ნახშირბადზე ფასების დინამიკას. აღნიშნული რისკები უკვე ასახულია შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს პროსპექტუსში, ხოლო მომავალში ისინი დეტალურად განიხილება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური განსაჯაროვების ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას კლიმატური რისკების ყოვლისმომცველი წარმოდგენა და შესაბამისობა ანგარიშგების საუკეთესო პრაქტიკასთან.

<u>პარამეტრები და მიზნები</u>

- მონიტორინგის პარამეტრები: ლახამი ჰესის ძირითადი მდგრადობის პარამეტრები მოიცავს შემდეგს:

- წყლის მოხმარება და დინების მაჩვენებლები: აკონტროლებს წყლის მოხმარების ტენდენციებს და ეკოლოგიური ხარჯის გატარების შესაბამისობას, რაც უზრუნველყოფს ოპერირების ეფექტიანობას და რესურსების მდგრად გამოყენებას.
- ენერგოეფექტიანობა: ზომავს ენერგიის მოხმარების გაუმჯობესების მაჩვენებლებს, რაც ხელს უწყობს ხარჯთეფექტურ და მდგრად ოპერირებას.
- პირდაპირი, არაპირდაპირი და სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 1, Scope 2 და Scope 3):
  - პირდაპირი ემისიები (Scope 1): მოიცავს ემისიებს, რომლებიც წარმოიქმნება კომპანიის საკუთრებაში არსებული ან მისი კონტროლირებადი წყაროებიდან.
  - არაპირდაპირი ემისიები (Scope 2): მოიცავს შეძენილი ელექტროენერგიის მოხმარებით გამოწვეულ ემისიებს.
  - სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3): მოიცავს მიწოდების ჯაჭვიდან, გარე სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა არაპირდაპირი აქტივობებიდან წარმოქმნილ ემისიებს.

<u>კლიმატთან დაკავშირებული მიზნები:</u>

- **ნახშირბადის ემისიები:** პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2) ემისიების შემცირება 30%-ით 2030 წლისთვის, რაც ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის პრიორიტეტებს.
- **ენერგოეფექტიანობა:** ოპერირების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება 20%-ით 2025 წლისთვის, რაც უზრუნველყოფს ხარჯების ოპტიმიზაციას და მდგრად ოპერირებას.
- **წყლის კონსერვაცია:** თამანშრომლებს შორის წყლის მოხმარების ეფექტიანობის გაუმჯობესება 10%-ით, 2025 წლისთვის.

ამ მიზნების მიღწევის პროგრესი რეგულარულად გადამოწმდება და დეტალურად აისახება ლახამი ჰიდროელექტროსადგურის წლიური მდგრადობის ანგარიშში. აღნიშნული პროცესი აძლიერებს სადგურის პასუხისმგებლიანი, გამჭვირვალე და მდგრადი ოპერირებისადმი ერთგულებას განახლებადი ენერგიის სექტორში.

გეოგრაფიული არეალი

- ყველა ის გეოგრაფიული არეალი, სადაც შპს "ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი" ახორციელებს საქმიანობას, მათ შორის ძირითადი ბაზრები და საწარმოო ობიექტები.
- გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შესახებ ანგარიშგება კონკრეტულ რეგიონებზე ან ოპერირების ზონებზე, სადაც ეს რელევანტურია.

პოლიტიკები და პროცედურები

1. გარემოსდავითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკა - თანხვედრაშია მდგრადი მმართველობის, გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან.
2. მმართველობის სახელმძღვანელო - განსაზღვრავს გარემოსდავითი, სოციალური და მმართველობითი საკითხებისთვის მკაფიო როლების, პასუხისმგებლობებისა და ზედამხედველობის სტრუქტურის მხარდაჭერას.
3. მატერიალურობის ანალიზი - უზრუნველყოფს აქცენტის გაკეთებას ძირითად გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად ეხება დაინტერესებულ მხარეებსა და ბიზნესს.
4. ეთიკური და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგება - ხაზს უსვამს ანგარიშვალდებულებას და ეთიკური მმართველობის მნიშვნელობას.

5. გარემოსდაცვითი პოლიტიკა - მოიცავს გარემოსდაცვით ვალდებულებებს, მათ შორის რესურსების ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და ემისიების მართვის პრინციპებს.
6. გარემოზე ზემოქმედების შეფასება - უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შესაბამისობას ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან.
7. დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის გეგმა - ხელს უწყობს კომუნიკაციის გამყარებას და ნდობის ჩამოყალიბებას შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.
8. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა - შეესაბამება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპებს, უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობის პრიორიტეტიზაციას.
9. ფინანსური აუდიტის ანგარიში - უზრუნველყოფს ფინანსური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების დაცვას.
10. წლიური გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიში - აერთიანებს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, მათ შორის საჯაროობისა და მდგრადობის საზღვრებს.

ინდიკატორები და პარამეტრები

- გარემოსდაცვითი ინდიკატორები: სათბურის აირების ემისიები (პირდაპირი ემისიები – Scope 1, არაპირდაპირი ემისიები – Scope 2, და სხვა არაპირდაპირი ემისიები – Scope 3), ენერგიის მოხმარება (განახლებადი და არაგანახლებადი წყაროებიდან), წყლის გამოყენება და ნარჩენების წარმოქმნა, განსაკუთრებული აქცენტით რესურსების ეფექტიანობასა და გარემოზე ზემოქმედების შემცირებაზე.
- სოციალური ინდიკატორები: თანამშრომელთა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა; მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის მაჩვენებლები; ადამიანის უფლებების დაცვის შესრულება (როგორც ოპერირების, ასევე მიწოდების ჯაჭვში); და საზოგადოების ჩართულობის შედეგები, რომლებიც ასახავს სოციალურ პასუხისმგებლობას.
- მმართველობითი ინდიკატორები: ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის დამკვიდრება, რეგულაციების დაცვა და რისკების მართვის პროცესების ინტეგრაცია, განსაკუთრებით მატერიალურობის შეფასების შედეგების საწარმოს რისკების მართვასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პროცესებზე ზედამხედველობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს ან აღმასრულებელი მენეჯმენტის რგოლის მიერ, საჭიროების შემთხვევაში მესამე მხარის დამოუკიდებელი ვერიფიკაციით.

დროის ჭრილში დადგენილი საზღვრები

- ანგარიშგების პერიოდი შეესაბამება კომპანის ფინანსური ანგარიშგების წელს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგებისა და შესაბამისი გასაჯაროების თანმიმდევრულობა.
- შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ იღებს ვალდებულებას გაუმჯობესოს მდგრადობის ანგარიშგების პრაქტიკა. კომპანიის მიზანია ანგარიშგების საზღვრებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო დადგენით უზრუნველყოს გამჭვირვალე და ყოვლისმომცველი მდგრადობის განსაჯაროვება, რაც ასახავს კომპანიის ერთგულებას მდგრადი განვითარების და უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ.

მდგრადობის ანგარიშგების ზღვრების წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, ჩვენი კომპანია ყოველწლიურად ახორციელებს მდგრადობის

ანგარიშგების ზღვრების სრულყოფილ გადახედვას. ეს სისტემური გადახედვის პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი, უზრუნველყოფს, რომ ანგარიშგებები ზუსტად ასახავდეს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკას. თუ გადახედვის პროცესში ხდება ცვლილებების განხორციელება, განახლებული დოკუმენტაცია გადის სრულყოფილ დამტკიცების პროცედურას. დასაწყისში, შემოთავაზებული ცვლილებები დეტალურად განიხილება და ამტკიცებს კომპანიის დირექტორი. ამის შემდეგ, დოკუმენტი გადაეცემა კავკასიის სუფთა ენერგიის ჰოლდინგის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს საბოლოო დადასტურებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ცვლილებების შესაბამისობა ხარისხთან, გამჭვირვალობასთან და მარეგულირებლის მოთხოვნებთან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებულნი არიან ცვლილებების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპანიის ვალდებულებას მაღალი საერთაშორისო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტანდარტების დაცვის მიმართ. განახლებული ვერსია იტვირთება კომპანიის ვებგვერდზე, ხოლო წინა ვერსია კვლავ ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდის არქივში.

დანართები

<u>დანართი 1:</u>

ორგანიზაციული სტრუქტურა



<u>დანართი 2:</u>

პოლიტიკების დოკუმენტებისა და სხვა დოკუმენტების სია

- მმართველობის სახელმძღვანელო
- ფინანსური აუდიტის ანგარიში
- წლიური გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიში
- ადამიანის უფლებების პოლიტიკა
- ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლა

- ქცევის კოდექსი
- მომწოდებლების ქცევის კოდექსი
- ეთიკური და შესაბამისობის დარღვევების ანგარიშგება
- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკა
- მატერიალურობის ანალიზი
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა
- გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA)
- დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის გეგმა
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა

<u>დანართი 3:</u>

აკრონიმების სია

EIA/გზშ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი
EU	ევროპის კავშირი
GR	მთავრობასთან ურთიერთობა
HPP/ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
LLC/შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MC	მენეჯმენტის კომიტეტი
SB	სამეთვალყურეო საბჭო
US/აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები